დანართი №1

დამტკიცებულია

სსიპ _ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის

2014 წლის " 30.04 "

№59/01-01 ბრძანებით

ტესტირების პროცედურა

მუხლი 1. აპლიკანტის უფლებები და ვალდებულებები ტესტირებისას

1. უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ტესტირების ჩაბარების მიზნით, აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს თსუ-ს საგამოცდო ცენტრში რეგისტრაციაზე და თან იქონიოს დაბადების/პირადობის (ბინადრობის) მოწმობა/პასპორტი.

2. რეგისტრაციის დასრულების შემდეგ აპლიკანტი გამოცდაზე არ დაიშვება.

3. დაბადების/პირადობის (ბინადრობის) მოწმობა/პასპორტის გარეშე გამოცხადებული აპლიკანტი თსუ-ს საგამოცდო ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაზე დაიშვება მხოლოდ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის გადამოწმების შემდგომ.

4. უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაზე გამოუცხადებლობა აპლიკანტს ართმევს უფლებას მოითხოვოს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული დამატებითი ტესტირების ჩატარება, მიუხედავად იმისა, უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაზე გამოუცხადებლობა გამოწვეულია საპატიო მიზეზით თუ არა.

5. უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ტესტირების დროს აპლიკანტს უფლება აქვს თან იქონიოს:
ა) წყალი;
ბ) პირადი ჰიგიენის საგნები;
გ) დაბადების/პირადობის (ბინადრობის) მოწმობა/პასპორტი;
დ) საჭიროების შემთხვევაში სხვა ნივთები, თსუ-ს საგამოცდო ცენტრის წინასწარი თანხმობით.

6. უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ტესტირების დროს აპლიკანტს ეკრძალება:
ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული აპარატურის ქონა;
ბ) დამხმარე მასალის – სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლების და სხვათა გამოყენება, გარდა თსუ-ს საგამოცდო ცენტრის მიერ შეთავაზებული ნივთებისა;

გ) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება რაიმე ფორმით, სხვა აპლიკანტისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;
დ) სამუშაო ადგილის უნებართვოდ დატოვება. სამუშაო ადგილის დატოვება შესაძლებელია მხოლოდ თანმხლებ პირთან ერთად;
ე) მუშაობის დაწყება შესაბამისი მითითების გარეშე.

მუხლი 2. უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ტესტირების დროს წესის დარღვევა

1. უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ტესტირების დროს აპლიკანტი მიიღებს გაფრთხილებას ამ ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის პირველი მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში.

2. ამ ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის პირველი მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის განმეორების შემთხვევაში, აპლიკანტი იხსნება უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ტესტირებიდან.

მუხლი 3. ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირების პროცესზე დასწრება

1. ტესტირებას უნდა ესწრებოდეს – თსუ-ს საგამოცდო ცენტრის წარმომადგენლები, კომისიის თავმჯდომარე, ტესტის გამსწორებლები და ტექნიკური პერსონალი (ასლის გადასაღებად).
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების საგამოცდო ცენტრში ყოფნამ ხელი არ უნდა შეუშალოს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ტესტირების მიმდინარეობას, მათ ეკრძალებათ ტესტირების შინაარსთან დაკავშირებით აპლიკანტის დახმარება ან მათი მუშაობისთვის ხელის შეშლა.

მუხლი 4. ტესტირების ფორმა

1. ტესტის გარეკანზე უნდა მიეთითოს აპლიკანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სპეციალობა, საფეხური და თარიღი.
2. ტესტში სწორი პასუხი უნდა შემოიხაზოს. ორი ან მეტი პასუხის შემოხაზვის შემთხვევაში პასუხი ანულირდება და ქულა დაითვლება კითხვების საერთო რაოდენობიდან.
3. ტესტის შემოწმება და აპლიკანტის მიერ დაგროვებული სწორი პასუხების რაოდენობის განსაზღვრა უნდა მოხდეს ტესტირების პარალელურ რეჟიმში.
4. თითოეულ ტესტს დაეთმობა არაუმეტეს 90 წუთისა.
5. ტესტის შეჯამება უნდა მოხდეს 100 ქულიანი სისტემით. მინიმალური კომპეტენციის ზღვარს წარმოადგენს 20 ქულა.